დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის

უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

_____

<u>16.05.2025 წ.</u>

ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

თბილისი

2025

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. წესის გამოყენების სფერო და მიზანი

1. აღნიშნული დოკუმენტი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში – უნივერსიტეტი) სწავლა-სწავლების ელექტრონული ფორმატის ორგანიზებისა და ადმინისტრირების პრინციპებს საჭიროების შემთხვევაში. წესი არეგულირებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას, უწყვეტ და ეფექტიან წარმართვას, ელექტრონული პლატფორმების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული სასწავლო რესურსების გამოყენების საფუძველზე.
2. ამ წესის მიზანია ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული სწავლების უწყვეტ და ეფექტიან განხორციელებას. დოკუმენტი მიზნად ისახავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის მოქნილი სწავლა-სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფას დროისა და ადგილის მხრივ დამოუკიდებელი ფორმით ისე, რომ სრულად იქნეს მიღწეული სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლების შედეგები.
3. წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. ელექტრონული სწავლების გამოყენების საფუძვლები და პირობები

1. ელექტრონული სწავლება (დისტანციური სწავლება) შეიძლება განხორციელდეს განსაკუთრებულ შემთხვევებში, მათ შორის — საგანგებო მდგომარეობის, პანდემიის ან სხვა გარემოებების დროს, როდესაც აუდიტორიული სწავლების ჩატარება შეზღუდულია ან შეუძლებელია.
2. დისტანციური სწავლება შეიძლება გამოყენებულ იქნას, როდესაც სტუდენტი ობიექტური მიზეზით (მაგალითად, დროებით უცხოეთში ყოფნის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა გადაუდებელი გარემოების გამო) ვერ ახერხებს ქვეყანაში ყოფნას და სწავლების აუდიტორიულ ფორმატში გაგრძელებას. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტისთვის სწავლის ელექტრონულ ფორმატში გაგრძელების შესაძლებლობას შესაბამისი ადმინისტრაციული თანხმობის საფუძველზე.

3. უნივერსიტეტს შეუძლია, არსებული აკადემიური პროგრამების შიდა მოდიფიკაციის ან ახალი პროგრამების შემუშავებისას, განსაზღვროს სწავლების ონლაინ ფორმატი (სრულად ან ნაწილობრივ დისტანციური პროგრამა), რომელიც ეფუძნება ელექტრონული სწავლების პრინციპებსა და შესაბამის ეროვნულ სტანდარტებს. ონლაინ პროგრამის დანერგვა ხორციელდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის, საგანმანათლებლო პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 3. ელექტრონული სწავლების რესურსები და ინფრასტრუქტურა

1. უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების განხორციელება ხდება შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმის — sdasu.ini.ge-ს და Google Classroom-ის ინტეგრირებული გამოყენებით. აღნიშნული სისტემა სრულად ადაპტირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესზე და მოიცავს ყველა საჭირო კომპონენტს: სტუდენტების ჯგუფებად დაყოფას, სასწავლო მასალების ატვირთვას, დავალებებისა და ქვიზების შექმნას და ჩაბარებას ონლაინ რეჟიმში, ქულების მენეჯმენტს, შეფასების გამჭვირვალე სისტემას და უკუკავშირის ავტომატურ მიწოდებას.

   Google Classroom-ის გარემოში ინტეგრირებულია Google Meet, რომელიც გამოიყენება ონლაინ ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად. აღნიშნული ვიდეოკომუნიკაციის პლატფორმა უზრუნველყოფს რეალურ დროში უკუკავშირს სტუდენტსა და ლექტორს შორის, მაგრამ ჩანაწერი არ ხორციელდება, რაც იცავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის პირად მონაცემებსა და კონფიდენციალურობას.

   პლატფორმაში ჩაშენებულია ჩატის ფუნქციაც, სადაც შესაძლებელია ჯგუფური და ინდივიდუალური კომუნიკაცია, განმარტებების მიღება, დავალებების განხილვა და სხვა საგანმანათლებლო საკითხების განხილვა უშუალოდ სასწავლო სივრცეშივე. დამატებით, უნივერსიტეტი იყენებს Google Forms, Google Calendar, Jamboard (ციფრული დაფა) და სხვა ინსტრუმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების ეფექტიანობას და დისტანციური პროცესის გამართულობას.

2. ელექტრონული სწავლების ფარგლებში კომუნიკაციისათვის გამოიყენება შემდეგი ოფიციალური არხები: Google Classroom, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის

სისტემა sdasu.ini.ge, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ლაივ ჩატი, აგრეთვე კორპორატიული ელფოსტა Gmail, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის დომენთან და წარმოადგენს ოფიციალური წერილობითი კომუნიკაციის არხს.

3. საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომა ხორციელდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის (sdasu.ini.ge/ბიბლიოთეკა) მეშვეობით — რაც მოიცავს სასწავლო და საგანმანათლებლო მასალების დისტანციურად მოძიების, დაჯავშნისა და გადმოწერის შესაძლებლობას. დამატებით, სტუდენტებს და პერსონალს გააჩნიათ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე ღია წვდომის ფორმატში, აგრეთვე sdasu.edu.ge-სა და Google Classroom-ისა და Google Drive-ის ინტეგრაციით შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და ვირტუალურ სასწავლო სივრცეებზე.

თავი II

ელექტრონული სწავლების ორგანიზება და მართვა

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი

უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების უწყვეტად და ეფექტიანად დაგეგმვა- განხორციელების მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის მუდმივმოქმედი ჯგუფი (შემდგომში - მხარდაჭერის ჯგუფი);

მხარდაჭერის ჯგუფის შემადგელობაში შედიან:

- ✓ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი;
- ✓ ფაკულტეტების დეკანები ან მოადგილეები;
- ✓ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი;
- ✓ მხარდაჭერის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია, შედიოდეს სტუდენტი, აკადემიური პერსონალი ან/და სხვა პირები, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

მხარდაჭერის ჯგუფის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ელექტრონული სწავლების პროცესის უზრუნველყოფის მიზნით ელექტრონული სწავლების რესურსების დანერგვა და გაუმჯობესებაზე ზრუნვა;

ბ) ელექტრონული სწავლების წესების/სტანდარტების, სახელმძღვანელოების, გზამკვლევების/ინსტრუქციების შემუშავება და სამიზნე აუდიტორიისთვის მიწოდების კოორდინაცია/უზრუნველყოფა;

გ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ტრენინგების ორგანიზება-ჩატარება და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირება;

დ) დისტანციური სწავლების სერვისების მიწოდების კოორდინირება, მონიტორინგი და გამოვლენილ ხარვეზებზე/საჭიროებებზე შესაბამისი რეაგირება;

ე) ელექტრონული სწავლების/მხარდამჭერი სერვისების განვითარებასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და რექტორისთვის წარდგენა.

მუხლი 5. ელექტრონული სწავლების პროცესი და განხორციელების წესი

1. კონკრეტული კურსის ონლაინ სწავლების ფორმატზე გადაყვანის საკითხზე გადაწყვეტილებას დეკანის მიმართვის საფუძლეზე იღებს რექტორი.
2. აკადემიური სემესტრის დაწყებამდე ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განისაზღვრება თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს ელექტრონული სწავლების ფორმატით.
3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი, განმახორციელებელი პერსონალისა და მათი საათობრივი დატვირთვის მითითებით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ეგზავნება რექტორს, რომელიც გამოსცემს ბრძანებას აკადემიური/მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვის შესახებ.
4. ფაკულტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს აკადემიური სემესტრის დაწყებამდე ელექტრონული სწავლების ფორმატით განსახორციელებელი სასწავლო კურსების Google Classroom-სა და sdasu.ini.ge რეგისტრაციას, თითოეული სასწავლო კურსისთვის შესაბამისი ვირტუალური სალექციო/სასემინარო სივრცეების შექმნასა და აკადემიური

რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადებში სტუდენტთა რეგისტრაციას.

5. სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ სავალდებულო სასწავლო მასალას პედაგოგი განათავსებს Google Classroom-სა და sdasu.ini.ge-ზე შესაბამისი სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებულ ვირტუალურ სივრცეში. ფაკულტეტის ადმინისტრაცია, თავის მხრივ, ვალდებულია, მოახდინოს პროცესის ორგანიზება და მონიტორინგი.
6. ელექტრონული სწავლების პროცესი ხორციელდება სასწავლო განრიგით გათვალისწინებული დროის, ხანგრძლივობისა და სასწავლო კურსის სილაბუსის შესაბამისად. პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერას ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია.
7. შეუფერხებელი და ეფექტიანი მომსახურების გაწევისა და მიმდინარე პროცესების ადმინისტრირების მიზნით, Google Classroom-ში სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის იქმნება ვირტუალური საკონსულტაციო სივრცეები; ასევე, კომუნიკაციისთვის გამოიყენება წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული რესურსები.
8. უნივერსიტეტში დაგეგმილი ექსტრაკურიკულური აქტივობები (სასერტიფიკატო კურსები, საჯარო ლექციები, ტრენინგები და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.
9. ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი.
10. ელექტრონული სწავლების პროცესში ჩართული მხარეების ქცევის წესები განსაზღვრულია ონლაინ ქცევის წესების სახელმძღვანელოში, რომელიც მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
11. გლობალური ან ქვეყნის მასშტაბით საგანგებო სიტუაციების (მაგალითად, პანდემიის) დროს განათლების ხარისხისა და პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, უნივერსიტეტის ფაკულტეტებმა პროგრამების სპეციფიკისა და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესაძლებელია შეიმუშაონ და დეკანის ბრძანებით დაამტკიცონ შესაბამისი გეგმა/კონცეფცია დისტანციური/ნახევრად დისტანციური სწავლების განსახორციელებლად კურიკულუმის შესაბამისი მოდიფიკაციით (აღნიშნული გეგმით არ უნდა იცვლებოდეს - საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია).

მუხლი 6. ელექტრონული სწავლების სტუდენტთა შეფასება

1. ელექტრონული სწავლებისას სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. სტუდენტთა მიმდინარე და დასკვნითი შეფასებების ელექტრონული აღრიცხვის მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტი.
2. ელექტრონული სწავლების ფორმატით განხორციელებული სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი წერითი გამოცდები ჩატარდება დისტანციურად შესაბამისი ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. ელექტროული სწავლების სტუდენტთა მხარდაჭერა

1. დისტანციურ სწავლებაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასწავლო კურსების სპეციფიკისა და სტუდენტთა დასაბუთებული საჭიროების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განხორციელდეს სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ან/და ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენა მოხდება უნივერსიტეტში მოქმედი
3. ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის“ შესაბამისად.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებამ შესაძლოა, გამოიწვიოს სემესტრული დატვირთვის გაზრდა, სემესტრის დამატება/სწავლის გახანგრძლივება.

მუხლი 8. პერსონალისა და სტუდენტთა ინფორმირების პროცესი

1. უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პროცესის შეუფერხებლად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ტარდება ტრენინგები უნივერსიტეტში დანერგილი სწავლების ელექტრონული რესურსების გამოყენებაში. ასევე, შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური კონსულტაციების გაწევა.
2. პერსონალისა და სტუდენტების ტრენინგებსა და მათთვის ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებული ინსტრუქციების, მოკლე სახელმძღვანელოებისა და ვიდეო-გზამკვლევების გაცნობას უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი ჯგუფი.

მუხლი 9. ელექტრონული სწავლების პროცესის საჩივრების წარდგენა და განხილვა

1. ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებით ჩართულ მხარეებს უფლება აქვთ, საჩივრით მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს.
2. საჩივარი უნდა გამოიგზავნონ უნივერსიტეტის ელ ფოსტაზე info@sdasu.edu.ge
3. საჩივარი უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ პრეტენზიას.
4. საჩივარზე რეაგირებას, რექტორის გადაწყვეტილებით, ახდენს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. საჭიროების შემთხვევაში, საჩივარზე რეაგირების მიზნით, შესაძლებელია, შეიქმნას კომისია რექტორის ბრძანებით.

მუხლი 10. ელექტრონული სწავლების პროცესის შეფასება

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ელექტრონული სწავლების პროცესის კმაყოფილების კვლევას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

მუხლი 11. სტუდენტის უფლებები და მოვალეობები

სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურება დისტანციურად, წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული სწავლების რესურსების გამოყენებით;

ბ) მიიღოს დროული და სრული ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;

გ) დროულად მიიღოს შესაბამისი ონლაინ ინსტრუქცია/გზამკვლევი და სხვა მასალები ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ, სასწავლო პროცესში შეუფერხებლად ჩართვის მიზნით;

დ) მიიღოს დროული და კვალიფიციური კონსულტაცია ელექტრონული სწავლების პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

ე) მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტში დაგეგმილ ექსტრაკურიკულურ აქტივობებში დისტანციურად, წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული სწავლების რესურსების გამოყენებით;

ვ) ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით დისტანციურად, წინამდებარე წესის მე-

2 მუხლით გათვალისწინებული რესურსების გამოყენებით;

ზ) ისარგებლოს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსებით;

თ) სწავლება-სწავლის პროცესში წარმოქმნილი ისეთი სირთულეების შემთხვევაში, რომელთა აღმოფხვრა შეუძლებელია, მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

სტუდენტი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის ონლაინ ქცევის წესების სახელმძღვანელოთი
განსაზღვრული წესები და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტები;

ბ) ისწავლოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე დისტანციურად, წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული სწავლების რესურსების გამოყენებით, შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების დაცვით, მათ შორის, დისტანციურად მიიღოს მონაწილეობა სალექციო და სასემინარო მუშაობაში, შუალედურ შეფასებებსა და გამოცდებში.

მუხლი 12. ელექტრონული სწავლების განმახორციელებელის უფლებები

1.განმახორციელებელს აქვს უფლება:

ა) მოითხოვოს ელექტრონული სწავლების განხორციელებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ბ) მიიღოს დროული და სრული ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;

ბ) დროულად მიიღოს შესაბამისი online ინსტრუქცია/გზამკვლევი შესაბამისი სასწავლო კურსების განხორციელების მიზნით;

გ) მიიღოს დროული და კვალიფიციური კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

დ) ელექტრონული სწავლების უწყვეტად განხორციელების მიზნით მოითხოვოს უნივერსიტეტისგან ელექტრონული სწავლების შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა (ინტერნეტი, სასწავლო გარემო).

განმახორციელებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს სემესტრის განმავლობაში მისთვის დადგენილი სასწავლო და საკონსულტაციო დატვირთვა და შეუფერხებლად განახორციელოს სწავლება (ლექცია-სემინარები) დისტანციურ ფორმატში, წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული რესურსების გამოყენებით, საგნის სილაბუსის შესაბამისად;

ბ) მისცეს სტუდენტს ხარისხიანი განათლება, უხელმძღვანელოს სტუდენტებს წერილობითი ნაშრომების მომზადებისა და დამუშავების პროცესში, გაუწიოს კონსულტაცია სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებზე დისტანციურ ფორმატში, წინამდებარე წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული რესურსების გამოყენებით;

გ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ელექტრონული სწავლების შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად განახორციელოს სტუდენტთა შეფასება;

დ) სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო მასალა განათავსოს Google Classroom-სა და sdasu.ini.ge-ზე, სასწავლო კურსისთვის შექმნილ ვირტუალურ სივრცეში/დავალებების სექციაში;

მუხლი 13. ელექტრონული რესურსების გამოყენების წესები და პერსონალური მონაცემების დაცვა

1. უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების პროცესში ჩართული მხარეების ქცევის წესები რეგულირდება ონლაინ ქცევის წესების სახელმძღვანელოთი, რომელსაც ამტკიცებს რექტორი ბრძანებით. მოცემული წესების დარღვევა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.
2. სტუდენტის/პერსონალის პერსონალური მონაცემები შესაძლებელია, დამუშავებულ იქნას ელექტრონული სწავლების პროცესის უწყვეტად და ეფექტიანად განხორციელების მიზნებისთვის.
3. ელექტრონული სწავლების პროცესში დაცული უნდა იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი. ონლაინ ლექცია-სემინარები და ონლაინ-სწავლების ამსახველი სხვა მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს. მათი გასაჯაროება დასაშვებია მხოლოდ ჩართული პირების წინასწარი თანხმობით.

თავი III

დასკვნითი დებულებები

მუხლი 14.

1. ელექტრონული სწავლების წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. ელექტრონული სწავლების წესის გაუქმება, მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.